



33063, 27 036060

შანო 10 კანკ.



ივანე მაჩაბელი  
 (მისის დაკარგვიდან 12 წლ. შესრულების გამო)



№ 25

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. თიფლისი. Редакция «Театри да Цხოვრება»

Иос. Зах. Имедашвили ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საქართველოს მებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. ტ. საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

№ 24

კვირა, 27 იანვარი 1910

1910

**რედაქცია** დაბეჯითებითა სთხოვს ხელის მომწერელთ: ფულის გამოგზავნა დააჩქარონ.

25 იანვარი 1910 წ.

**ნუ ვიქნებით** ძველსადა ახალს შორის და-  
**კარჩაკეტლნი.** საბამიდან რომ ბრძოლა იყო და შემდეგაც იქნება, ვინ არ იცის, ხოლო თუ ჩვენი დროის განათლების დაბლობით აღ-  
ქურვილი დედაბერულად შეხედავდნენ ქალის ტრიკოთი გამოსვლას სცენაზე, — ეს კი აღარ გვეგონა... ოცი-ორმოცი წლის წინად ქალის „აქტირიკობა“ სამარცხინო საქმედ ითვლებოდა, მაგრამ ქალმა, როგორც მსახიობმა, უკვე მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და დღეს არამც თუ სძრახვენ ჰემარატი მსახიობ ქალს — არამედ ფეხქვეშ ფიანდაზადაც ეგებიან. დადგა დრო, როდესაც ქალი-მსახიობს სცენამ მეტი ბუნებრიობა, ბუნებრივი სინამდვილე მოსთხოვა. ეგრობის სცენამ და საზოგადოებრივმა თვით-შეგნებამ, რომელმაც ბევრით წინ გავიწვრო, აქაც უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ ეს დედაბერული შეხედულებაც დაიგმო: მსახიობმა ქალმა იქ უკვე შეანგრია შეუფერებლობის კარ-ჩაკეტილობა და ქალი-მსახიობი თითქმის დედამოხილა ასრულებს ამ თუ იმ საქირო როლს. და მერე რა? განა ხელოვნების დანი-შნულულებაც მშვენიერების სრულყოფა და სინამდვილის განხორციელება არ უნდა იყოს?!

მხოლოდ პირუტყველი ინსტიტუტების მქონე ადამიანს, მხოლოდ ბურჟუაზიულ-კარჩაკეტული გახრწნილების დამცველს თუ შეჭაზვარულ უმწიკლო მშვენიერების სინამდვილით წარმოადგენა!..

დაე, ვიყვნეთ მეძავნი, გახრწნილნი, დაცე-

მულნი, ოღონდ არაიენ შეგვიტყოს, ძვირფასი, ტლანქი ტანისამოი გეფარავდეს საზოგადოების თვალთაგან, — აი ლოლიკური დასკვნა ჩვენის დროის ზნეობის ზოგიერთ მოძღვართა...

როგორც ყოველი დარგი მეცნიერებისა და ადამიანთა გონებრივ-ზნეობრივ წინწაწევისა, სასცენო ხელოვნება და მისი ქურუმნიც წინ მიიწვიან, ახალსა და ახალს გზას იკვლევენ და ვისაც საზოგადოებრივი სიკვდილი უნდა, მხოლოდ იგი ჩამოშორდება წინმსვლელობას.

დღემდე ჩვენს სცენაზე განსაკუთრებით დრამა ბატონობდა. ქართველის ხელსაც სწყურია წინმსვლელობა და სასცენო ხელოვნების ახალ-ახალი ნაყოფი... ქართული ოპერა, ევროპიულ ყაიდაზე შეთხუზულ-შეჭმნილი, ქართველი მომღერალ-მოცეცევეთა და მსახიობთაგან შესრულებული, — აი რა არის ჩვენის თეატრის განახლებისათვის საჭირო...

სწორედ ამ მხრივ სინამდვილებით ვეგებებით კ. ფოცხვერაშვილს, როგორც ორიგინალ მუსიკოსთა პირველ მერცხალს... სწორედ ამავე მხრივ პირველ მერცხულმად მიგვაჩნია ქართულ სასცენო-სამუსიკო ნაწარმოების შემსრულებელთა „სიცილისა და გართობის“ საღამოს გრიზეტებულ გამოსვლით ოთხი ასული, რომელთაც დაუმსახურებლად უსაყვედურეს...

ნუ ვიქნებით კარჩაკეტლნი...

უდაბნოთ

მე მსურს მიწაზე მსხვერპლი შევწვირო, ზვარაკს არ მაწვდის, — ყრუა სოფელი! ის ჯალათია უკვდავებისა და სიყვარულის დამამბოველი...!

უსაზღვრო სიერცე, არარისა მიქმელი,  
აი უღაბნა, — ჩემი სამყოფი!  
და აღმართული წამების ჯვარი —  
სიცოცხლის ჯილდო, — ბრძოლის ნაყოფი...

ჩამეტრა გულში სიციარიელე,  
თოვლივით თეთრი, მკვდარივით სადა!  
ჩემს მწუხარებას და ჩემს კაენანს  
სად დააქროლებს ნიავი, სადა!?...

მაგრამ შორით სჩანს ჩემი ტადარი, —  
ვლოკულობ მასზედ, არ ვწყვეტავ თვალსა, —  
სოფელი, გვედრი! — ნუ აღგვი მიწით  
წმინდათა წმინდას, ჩემს იდელსა...

იქით მივილტვი, იქით ვისწრაფვი,  
იქ ღვთიურ ცეცხლის იღვზება ალი...  
ან ის კანდელი მეპყრას მე ხელთა,  
ან და მშობელმა მიხილოს მკვდარი!

მე მსურს მიწაზე მხხვერპლი შევსწირო,  
ზვარაკს არ მაწვდის, — ყურთა სოფელი!  
ის ჯალათთა უკვადებისა  
და სიყვარულის დამავამოველი...

ბაბილიონა



### პირველი კომიტატი

(ნაწყვეტი მოგონებანი\*)

თბილისში პირველად მოგვროვდით პირ-  
ველ კომიტეტის-მიერ მოწვეულნი 1879-  
1880 წ. სეზონის დასაწყებად. ჩემთან ერთად  
იყვენ ვ. ა. აბაშიძე, კ. დ. ყიფიანი, მ. მ. სა-  
ფაროვა-აბაშიძისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ.  
ხერხეულიძე-ავალიშვილისა, ზ. მაჩაბელი, ნ.  
შიშნიაშვილი და სხ. საქმისსათავეში დაგვხდენ  
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დ. ერის-  
თავი, ივანე მაჩაბელი, გ. თუმანიშვილი და სხ.  
მაშინ ისეთი დრო იყო ქართველ საზოგადოებაში,  
რომ ყველა თითქოს ახლად გამოღვიძებულია  
და აჩქარებით, ფაცი-ფუციით საქმის კეთებას  
იწყებსო. და განა დიდი საქმე არ იყო: ერთი-

\*) ამათ ვიწყებთ მოგონებათა ბეჭდვას და  
ვხოვთ ყველა ჩვენს დამსახურებულ მოღვაწეს და  
მცოდნეს, ვისაც რა ახსოვს ქართული თეატრის ისტო-  
რიიდან — მოგვაწოდოს.

ორი თვის შემდეგ ქართული თეატრი ხელმე-  
რედ უნდა დაარსებულიყო და ამ მოთავეებმა  
იმიტომ შეგვეყარეს აქა, საშუადამო დასი  
დაეარსებინათ. ყველაზე მეტი მუშაობა წილად  
ხელა გ. თუმანიშვილს, რომელმაც დიდი მუყა-  
ითობა, მხნეობა და საქმის სიყვარული გამოი-  
ჩინა. ილია ჭავჭავაძე, ძალიან კარგად მახსოვს,  
ცოტა იქვიანის თვალით უცქეროდა საქმეს,  
იძახდა: „ასე ვიცი ქართველებმა, ცეცხლს  
მოვიკიდებთ, ბუქსა ვცემთ და მაშხალბით საქ-  
მეს ვიწყებთ, — მერე ვხედავთ: მაშხალა არსადა  
სჩანს, ცეცხლი ჩამქრალა და ბუქცი არ ისმას;  
ამისთანა საქმისათვის ფულია საქირი, დიდი  
ფული, ის თავითვე.“ აკაკი უზომოდ გაზარე-  
ბული იყო და ზოგუერთ მოთავეშა ნიჭით  
აღტაცებული შეუღდა ახალი კომედის წერას.  
მაგრამ ყველაზედ უფრო კარგი სანახავი და  
სასიამოვნო ჩვენთვის იყვენ დავით ერისთავი  
და ვანო მაჩაბელი. ორივე ვერცხლის წყალი-  
ვით ხან აქ ამოყოფდენ თავს და ხან იქ, —  
მთელი თბილისი შეანძრინეს, ძილი დაუფრთხეს  
ყველასა\*), თან მოჰყვენ და რამდენიმე პიესებს  
დაუწყეს თარგმნა.

მართლაც ანთო მაშხალები და გაჩაღდა  
სეზონი! შესანიშნავი სეზონი!

კ. მესხი

(შემდეგი იქნება)

*კითხვა*

0 0 0

კრემლი მერვეა, გული მიკნესის,  
სასოწარკვეთილს თვალთ მიხეწილდება.  
რომელს მივმართო? ვის განვეუცხადო  
დატყვევებული სულის კეთება? —  
ისე, რომ გულში ღრმად ჩამალული  
არ დამიმცირდეს მალალი გრძობა,  
რომ წუთის შემდეგ თვით არ მტანჯავდეს  
მე ჩემი წრფელი გულთაბდილობა?..

შოჰფრინდი, ქაჯო ჯოჯოხეთისაც!  
მოდლი!.. იცოდ არ შეგიდრკები:  
ხელს გამოგიწვი, გულს ვაგწილი და  
მეგობრად ისევ შენ ვაგვადებნი!..

კ. ქიქინაძე

\*) მოდით ნახეთ, რა დიდებული არტისტები ყო-  
ლიათ, საშუადამო დასი დაარსდა! აჰა, აბონემენტი, აჰა,  
ლაჟუა! აი, კრესლო! და სხ.

# მშვენიერება

სერგეი მაკოვსკის წერილიდან

(გაგრძელება იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 24)

წარსული მხატვრობაში, ხელოვნებაში იხანება. რაც უნდა უცხოდ ვიყოთ ხელოვნებასთან, როდესაც კი წარსულს მივაქცევთ ყურადღებას, ესტეტიურად ვიწყებთ აზროვნებას. თვითონ დრო არის საუკეთესო, დიდებული მხატვარი. იგი ყოფილ ხალხთა ღიმილისა, ცრემლებისა და სისხლისაგან მშვენიერების უკვდავ სხეულსა ქმნის. ეპოქობობის ნახსოვრობაში ისტორია სურათთა ცვალებადობა და რამდენადაც მეტი მშვენიერია, იმდენად მეტი გამძლეა, საუკუნოა, სამარადისო. ჩვენ მხოლოდ მშვენიერების საშუალებით ვეცნობით ისტორიას და ჩვენი გული და გონებაც მის გამო იგნებს გზას ისტორიაში.

მხოლოდ მშვენიერებაშია ცოცხალი მიზიდვლება წარსულისა.

მართლა იყო პრომეთეოსი ქვეყნად? მართლაც წარტაცა ღმერთებს ცეცხლი და ამისათვის განიცადა საშინელი სასჯელი? დროის უძლიერე კედლები მართლაც არსებობდნენ თუ არა? განა სულ ერთი არ არის? იაფთვის ეყო ჩვენთვის ესხლის ზემთავანებით ჩვენება; მისი მსხვერპლის ცეცხლი არასოდეს არ გაქრება. პომპროსის საგალობლები აქამომდე ხიზლავს ეპოქობობას და ელენეს აჩრდილი, ფალსტის მიერ დედათა სამეფოდან მოტაცებული, უფრო შეუვლია და უმკველი, ვიდრე სხვა და სხვა ჟიჰანახულობა და სიყვითე, ბედნიერება მიცვალებულ გმირებისა.

არა, ჩვენ არა გვწამს ფილოსტერ-მორალი-სტა გულწრფელობა.

ზნობრივი მავალითი და გაკვეთილები იმათ გამოაქვთ ბედის უცნაურ და საიდუმლო წიგნისაგან, რომლის სტრიქონებიც ბრწყინვალეობით და სისხლით არის აღბეჭდილი. მიგრამ ამა ვეცადოთ ჩვენც მათთან ერთად აღვიჭურვოთ გულის წყრობითა. რა გამოვა აქედან? ჩვენი მსჯელობა იქნება ყაღბი, სინამდვილეს მოკლებული, განგებ მოფიქრებელი, ძალდატა-

ნებითი. ვერავის ასეთი მსჯელობა ხელახლოდ ვერ აღუძრავს იმ განზრახვითა და ოცნებითა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ მაგ. პირველნი ქრისტიანები. ის, რაც მათ აღუღვებდა, ისე ცოცხლად ჩვენ ვეღარ აგვადლევენს. ჩვენ არ მოვიწოდებთ იმათსავით დაეჯიკოთ კოლონიუმი და ეკისრის სასახლეები, ვითარცა ნაშთი ეშმაკეულისა. ეს ძველები, ეს ნანგრევები წარმართთა გონება-ხელობისა, ჩვენთვის უფრო ძვირფასია დღეს, ვიდრე ყველა მაშინდელი მსხვერპლი და წამებულთა კვნესა-გარღება; მათში ჩვენა ვხედავთ და ვიგნებთ ბევრად მეტსა და ძვირფასს, ვიდრე ჩვენს თანამედროვე წარმავალს სიკეთესა და ბოროტებაში.

საუკუნეთა მშვენიერება გარკვენილებისა და ძალიმომრეობის სასახლეებს წმინდა სამარება ხდის და სათაყენოთ გვიქცევს! სინდისი დოვლიკისა ჩუმდება ათასწულთა საიდუმლოების წინაშე. მაშ თუ კი ასეა, სწორედ იმავე ზნობრივ გონების გამო, ნუ ვეცრუებით თვის თავსა. უმჯობესია სასტიკნი ვიყოთ, ვიდრე პირმოთენდ შემპრლავნი.

უცნაურმა პროცესმა ცხოვრების მშვენიერებად გარდაქმნისამ არ იცის ცოდველისა და უცოდველის გარჩევა. ყოველთვის დგება ისეთი დრო და ეპოქა; როდესაც ღვაწლი სახელოვანთა ვეღარ აღვიძებს ზნობრივ გონებას შთანთქმებაში. ადრე თუ გვიან აღამიანებე იმათაც ისეთი ცნობის-მოყვარეობით ეპყრობიან, როგორადაც არქეოლოგოსები რამე ნაშთსა. სამაგიეროდ მათი მხატვრობა; მათ მიერ გამოქანდაკებული ბრინჯაო და მარმარილო, მათ შესახებ შეთხზული ტაგებში მგონათა, უხრწნელი რჩება სამარადისოდ. მთესველნი „ეკითხათა საქმეთა“, მოღვაწენი სიყვარულისა და მოვალეობისა სამუდამოდ, უკვლოდ ქრებოან, თუ კი მათ სახელის გარშემო არ იფეთქა ლეგენდის შარავანდელმა. მაგრამ იმავე დროს ბოროტ-მოქმედთა სახელიც არ იკარგება, როგორც წმინდანების, თუ კი მათ დანაშაულთ ხელოვნების სამოსელი შეიმოსეს.

ხომ ხედავთ: ტაძრები და კერპები თვით ღმერთებზედაც უკვდავია. ოლიმპიელები დაიხოცენ; ათას წულთა წინად უკანასკნლად შეისვარა თერთ მტრედების სისხლით ვენეროსა და ამოლონის ტრაგეზი, მაგრამ მათ ქანდა-

კებათ დღესაც კიდევ ჩურჩულთ ლოცვას ძღენის მითროლოვარე ბაგე ადამიანთა. თაყვანისმცემელთა თითოეულს თაობაში მათი მშვენიერება ხელახლად იბადება. კარგად იცით, რომ იეგოვა არასოდეს აღარ გადმოაგზავნის ქვეყნად თავის წინასწარმეტყველებას, მაგრამ ცეცხლებრივი ნაქეთიერება დაბადების წინასწარმეტყველებათა და ტუბილ-სანეტარო ვნებით აღვსილი ქებათა-ქება არასოდეს არ გაქრება, ეგენი დაიხსნიან სამარადისო წიგნს გახრწნისაგან. მშვენიერება რელიგიისა თვით რელიგიაზე მეტ ხანსა ცოცხლებს. შემოქმედებითი სიტყვა თვით ღმერთზე უფრო უქვეყლია:.. და თუ ოდესმე—როდესაც ადამიანები ქრისტეს მოძღვრებას დაივიწყებენ—ქრისტიანობის ლეგენდა დარჩება მხოლოდ, ეგ იმიტომ, რომ ეს ლეგენდა მშვენიერია.

ქეშმარიტად სამარადისოა მხოლოდ მხატვრული მხარე ოდესღაც ყოფილის სიცოცხლისა. სამარადისოა მხოლოდ ის საქმე და ნაწარმოები, რომელთაც შეისხეულეს საუკუნეთა მშვენიერება «ყოველივე მტერად იქცა»: დიადი ცივილიზაციები, ძლევათა და დამხობათა ეპოქანი, ასურეთისა და ბაბილონის ძლიერი სამეფონი ზღაპრულ-უძველესი კულტურა აღმოსავლეთისა და თვით მახლობელი ჩვენი წარსული. მხოლოდ ისევ ისე მღვდელ-მოქმედებენ ერთ დროს სარგონის სასახლეთა შემმაკობელ ბარელიეფებზე ფრთოსანი ფერები, ქურუმები და მთავრები გარშემორტყმული თავის მონათა-მიერ; ისევ ისე ილიმებთან ხელში აბრეშუმის ქალაღლითა ლაო-ცე და კონფუცის თვისტომნი, მორათულნი ნარანარ და სალუქ, ძვირფას სამოსელთა; ჯერ აქამომდე მემფისის ტაძართა ნანგრევებში მთელი რიგი ღმერთთა და წმინდა. ცხოველთა გაპწკარულა, მათ მოსდევენ გმირები და მხედრები უფლებათა ნიშნებით აღჭურვილნი, მიწათ-მოქმედნი, და ხელოსანნი, ქალები და ბავშვები, რომელთაც თავით შესაწირავი ძღვენი უპყრიათ; და ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების ფოლიანტთა კაბადონებზე, რომელიც აღვსილია მაშინდელ აღქმიკთა და სქოლასტიკთა დრო-გარდასრულ სიბრძნითა, ისევ ისე ახალია და სურნელოვანი, როგორც დაუქნობელი ყვავილები საფლაოზე, ამ წიგნების სათაურები, გოტიური ასო-

მთავრულები და ნართაულები მოციქულთა ღრინდთა გამომსახველნი, უცნაურ მხეცთა და უჩვეულო მცენარეთა გამომხატვანი.

„ყოველივე მტერად იქცა“. მხოლოდ ძველნი ხელოვნებისა დარჩენ. და იმათ გამო განაგრობოს კიდევ არსებობას გარდასრული, მხოლოდ რამდენადაც მეტია და ფართო უფსკრული დრო-ვამისა ჩვენსა და წარსულს შორის, იმდენად ნათელია ეს სიმაართე. ჩვენ არა ვიცით რა უხსოვარ დროს ბარბაროსთა წოდებისა გარდმოცემაც კი არ არსებობს. თვით ლეგენდებიც კი გამოხუნდა. დაკულია მხოლოდ მათი ტლანქი თიხის ქურტლები, რომელთაც ხვეული ჩუქურთმა აქვთ შემოვლენული და ფოთლოთა სახე ამოკრილი; დაკულია მათი უცნაური პაწია კერპები ქვისა და ბრინჯაოსაგან გაკეთებული და მათი ღიღის გულ-მოღვინებით გაწმენდილი და გათლილი კაცის იარაღები; დაკულია ის ქმნილებანი, რომლებზედაც აღბეჭდილია პირველი კვალი ადამიანის წარმოდგენისა, ფიქრისა მშვენიერებაზე. შორეულ მიცვალებულთ თან წარიღეს მათი, ჩვენთვის უცხო გამოცანა არსებობისა, მაგრამ საფლავის სიღრმეში კი დაგვიტოვეს ჩაყვითლებული ძელები ოქროს ბეჭდებით და ყელ-სამბურებით მორთული. თვით სიკვდილმა დაგვიცვა ისინი განადგურებისაგან,

ძველი მივიწყებული ძელები მტვრით აღმოვსილ საფლავებში ერთვულად სდარაჯობენ თავიანთ საუნჯესა,—განა ესნიმბოლო არ არის ყველა ხალხთა ბედის წერისა?

შალვა დადიანი



# ს უ მ ბ უ ლ ი

არცა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა შეიმოსა, ვითარცა ერთი მათგანი.  
ათე 6, 29.

I

ცას ბნელი ფარავს.. ამოდის მთვარე, მუდამ მქუწუნვარე, ვით ავადმყოფი ჰკრთება, კანკალეხს. მას თან მოსდევს პირის ფარეში უცხო ვარსკვლავი... იმას მეორე, და ვარსკვლავთკრება, ხომალად ნთებული, მის გარეშეგო უე-

ლის ფერხულსა. განათდა არე, საღდაც ბუჩქის ძირს გრძნობისა მეფემ ჩაიკვითინა, უენო სატრფოს დაკენის სუმბულს, თავზედ ევლება, როგორც ფარვანა. ის სდგას მდუმარედ, შების ცრემლი სდის, ვერ დაუფარავს ცხოველი გრძნობა სიყვარულისა; ბედნიერია და გრძნობს კიდევ მას. წყაროს ამშვენებს. არა ერთხელ და ორჯერ სმენია მისგან სუმბულს: „მადლობელი ვარ! ჩემო სუმბულო, რომ ჩემს ახლოს გაქვს ბინა. როცა შენ გიმზერ—ბედნიერებით ზეკას ვსწვდებიო“.— „ნეტა რა მოსწონს ჩემი“ ჰკითხავდა ხოლმე თავის თავს სუმბული, მაგრამ პასუხს რომ ვერ მიიღებდა, გადმოხეობდა და ისევ დაიწყებდა ცეცქობას. ნამი რომ პირს დახანდა და მის ტანზე ნამის წვეთები მძივებდა აესხმოდენ, სუმბული მაშინ თავის თავს უჭკრეტდა და თუმცა ამაყი არ იყო, მაგრამ არ შეელო მის შვენების მნახველს არ გალიმებოდა. რამდენი ხანია სატრფოს ელოდა, საღდაც წასულიყო უცხო ქვეყნისკენ და იგვიანებდა, ლოდინში გული ელოდა... მაგრამ მოვიდა, აი მოესმა მისი ხმა კიდევ, თრთის და ცახცახებს, ბედნიერია სუმბული, ნამი პირსა ხანს, ნიაყი ჰკოცნის, გულში იხუტებს, იადონი ზედ დაჰკითვინებს და სული რომ მის წიაღში დალიოს—არ ენაღვლებას... მკრთალი მთვარე-კი მათ სდარაჯობს და მგონი ისე ეცვლება ფერი, რომ მათი ბედნიერება ეხარბება კიდევ...  
 II

მაგრამ ეამი მიჰქროდა.

როგორც სიზმარი, დიახ წარმტაცი და მშვენიერი, გაჰქრა ზაფხული. შემოდგომაა. ხენი საშინლად სტირიან... ძრწიან და შფოთვენ. „იმათ თუ ასე დაემართათ, რა კარგი დამეყრებათ,—ფიქრობს სუმბული. და, აი, რომ მართლაც უღალატა, სატრფომ სუმბული სიცივეს მიუგდო და თითონ თბილი ქვეყნისკენ გაუღდა გზას; ის მშვენიერი ტანისამოსი, რომელსაც თვით სოლომონისაც ვერ შეედრებოდა, გაიცრია. საღდა ნიაყი, ნაზი ზეფირი გუშინ რომ ნანას უმღერდა? ახლა ქარიშხალი, ქმუნეთი მტირალი, თავს დაპირიალებს, დასამარებას თითქო უქადებს; მგზნებარე გული უკვე გაცივდა... ჩამოივლისო მალე სიკვდი-

ლი“,—უტრჩხულებს ხმა იღუმალი. არ იცის სუმბულმა, რაა სიკვდილი, მაგრამ წინად ჰგრძნობს, რომ კარგი არ იქნება. ცახცახით ღმერთს ვედრებს, გულწაბრობილი ლოცულობს და ის ლოცვა მყის ოცნების ფრთებით ცისკენ მიიღტვის. „ნუ გეშინია, ნუ, ჩემო სიკოცხლევ! უნარჩულებს ანკარა წყარო. ღმერთი მოწყალეა, მალე ისევ გამობრუნდები, მალე მოგივა დრო და ეამი შვენებისო, ერთ ზაფხულში კინაღამ დაეშრი და სასოწარკვეთილი დაესტროდი ჩემს უბედურებას, მაგრამ შევებრალე შემოქმედს. წვიმა ჰოვიდა და მეც გადავარჩი“.

— ოხ! რა კარგი ხარ წყაროვ ანკარავ, რომ უბედურიც ასე გიყვარავარ.

— მაშ კიდევ გაზაფხულდება?

— ჰაი, ჰაი რომ...

— მაშ როდემდი უნდა ველოდებოდე?..

— იყუჩე, ჩემო პატარავ, ძინე და ისე

გაივიღის დრო, რომ ვერ გაიგებს...

უჯერებს სუმბული და სძინავს... სძინავს გრძნეული ძილით, ტკბილსა და მომზობლავ სიზმრებსა ჰხედავს, ხან-კი მწარედ ქეთითნებს, ალბად ცუდი რამ თუ ეზმანება. უკვ ორჯერ გაზაფხულდა, მაგრამ მას კიდევ სძინავს: განთიადისა და მწუხრისა მგოსანი თავს დაჰკვირვინებს და ცა“ შეჰკვიცნის „ნეტავი, როდის გაიღვიძებსო?!“

## ტ. ტაბიძე

### მწარედ ვიყინი

ტყეში გავიქვარ, ველს დავემოყვრე, ფოთოლი შრილისა შევეუწყე სმენა: გული გაუეუწყე მდღლოს მიბინსა, ნაკადულისა ვისწავლე ენა.

\* \* \*

მთვარეს ვემონე... ვარსკვლავებს ვემძე, მთამ მცენებლ მომცა სიგულზვიადე, იამ სინაზე შემომთავაზა, ცის თაღმა მომცა თვის სილიადე.

\* \* \*

ვარდმა სიტურფის ტრფომა მასწავლა, ბუღბულმა კენსა გულს შთამისახა; კაცთ შემეცნების კიდევ მდგომი ვიცინი მწარედ: ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

კიკნა-ფშაველა

კებათ დღესაც კიდევ ჩურჩულით ლოცვასა ძღვნის მითრთოლვარე ბავე ადამიანთა. თაყვანის-მცემელთა თითოეულს თაობაში მათი მშვენიერება ხელ-ახლად იხადება. კარვად იცით, რომ იეგოვა არასოდეს აღარ გადმოაგზავნის ქვეყნად თავის წინასწარმეტყველებას, მაგრამ ცეცხლებრივი ნაქეთიერება დაბადების წინასწარმეტყველებათა და ტვილ-სანეტარო ვნებით აღვისილი ქებათა-ქება არასოდეს არ ვაქრება, ეგენი დაიხსნიან სამარადისო წოგნს ვახრწნისაგან. მშვენიერება რელიგიისა თვით რელიგიაზე მეტ ხანსა ცოცხლობს. შემოქმედებითი სიტყვა თვით ღმერთზე უფრო უტყველია... და თუ იღვსემ—როდესაც ადამიანები ქრისტეს მოძღვრებას დაივიწყებენ—ქრისტიანობის ლეგენდა დარჩება მხოლოდ, ეგ იმიტომ, რომ ეს ლეგენდა მშვენიერია.

ქეშმარიტად სამარადისოა მხოლოდ მხატვრული მხარე ოდესღაც ყოფილის სიცოცხლისა. სამარადისოა მხოლოდ ის საქმე და ნაწარმოები, რომელთაც შეისხველეს საუკუნეთა მშვენიერება «ყოველივე მტერად იქცა»: დაიდი ცივილიზაციები, ძღვეათა და დამზობათა ეპოქანი, ასურეთისა და ბაბილონის ძლიერი სამეფონი ზღაპრულ-უძველესი კულტურა აღმოსავლეთისა და თვით მახლობელი ჩვენი წარსული. მხოლოდ ისევ ისე მღვდელ-მოქმედებენ ერთ დროს სარგონის სასახლეთა შემამკობელ ბარელიეფებზე ფრთოსანი ფერიები, ქურუმები და მთავრები გარშემორტყმული თავის მონათა-მიერ; ისევ ისე ილიმებიან ხელში აბრეშუმის ქალაღლითა ლაო-ცე და კონფუციის თვისტომნი, მორთულნი ნარნარ და სალუქ, ძვირფას სამოსელითა; ჯერ აქამომდე მეფისის ტაძართა ნანგრევებში მთელი რიგი ღმერთთა და წმინდა. ცხოველთა გააწკარულა, მათ მოსდევენ გმირები და მხედრები უფლებათა ნიშნებით აღჭურვილნი, მიწათ-მოქმედნი, და ხელოსანი, ქალები და ბავშვები, რომელთაც თავით შესაწირავი ძღვენი უპყრიათ; და ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების ფოლიანტთა კაბადანებზე, რომელიც აღვისილია მაშინდელ ალქიმიათა და სქოლასტიკთა დრო-გარდასრულ სიბრძნითა, ისევ ისე ახალია და სურნელოვანი, როგორც დაუქნაბელი ყვავილები საფლავზე, ამ წიგნების სათაურები, გოტიური ასო-

მთავრულები და ნართაულები მოციქულთა ზრინდთა გამომსახველნი, უცნაურ მხეცთა და უჩვეულო მცენარეთა გამომხატვანი.

«ყოველივე მტერად იქცა». მხოლოდ ძველნი ხელოვნებისა დარჩენ. და იმთა გამო განაგრძობს კიდევ არსებობას გარდასრული, მხოლოდ რამდენადაც მეტია და ფართო უფსკრული დრო-ჟამისა ჩვენსა და წარსულს შორის, იმდენად ნათელია ეს სიმართლე. ჩვენ არა ვიცით რა უხსოვარ დროს ბარბაროსთა წოდებისა გარდმოცემაჲ კი არ არსებობს. თვით ლეგენდებიც კი გამოხუნდა. დაკულია მხოლოდ მათი ტლანკი თიხის ქუჩრულები, რომელთაც ხვეული ჩუქურთმა აქვთ შემოვლებული და ფოთოლთა სახე ამოჭრილი; დაკულია მათი უცნაური პაწია კერპები ქვისა და ბრინჯაოსაგან გაკეთებული და მათი დიდის გულ-მოღვიგებით გაწმენილი და გათლილი კაცის იარაღები; დაკულია ის ქმნილობანი, რომლებზედაც აღბეჭდილია პირველი კვალი ადამიანის წარმოდგენისა, ფიქრისა მშვენიერებაზე. შორეულ მიკავლბულთ თან წარიღეს მათი, ჩვენთვის უცხო გამოცანა არსებობისა, მაგრამ საფლავის სიღრმეში კი დავგიტრავეს ჩაყვითლებული ძვლები ოქროს ბეჭდებით და ყელ-სამბურებით მორთული. თვით სიკვდილმა დავგიცვა ისინი განდგურებისაგან;

ძველი მივიწყებული ძვლები მტვრით აღმოვიკილ საფლავებში ერთგულად სდარაჯობენ თავიანთ საუნჯესა, — განა ესისმობოლო არ არის ყველა ხალხთა ბედის წყრისა?

შალვა დადიანი



# ს უ მ ბ უ ლ ი

არცა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა შეიმოსა, ვითარცა ერთი მათგანი.

მათ 6, 29.

I

ცას ბნელი ფარავს.. ამოდის მთავარე, მუდამ მქუტუნვარე, ვით ავადმყოფი ჰკრთება, კანკალეზს. მას თან მოსდევს პირის ფარეში უცხო ვარსკვლავი... იმას მეორე, და ვარსკვლავთკრება, ხომალად ნთებული, მის გარეშეშეო უე-

ლის ფერხულსა. განათდა არე. საღაღაც ბუჩქის ძირს გრძნობისა მეფემ ჩაიჭიეთინა, უენო სატრფოს დაკენის სუმბულს, თავზედ ევლებოდა, როგორც ფარვანა. ის სღგას მღღმარედ, შგების ცრემლი სდის, ვერ დაუფარავს ცხოველი გრძნობა სიყვარულისა; ბედნიერია და გრძნობს კიდევ მას. წყაროს ამშვენებს. არა ერთხელ და ორჯერ სმენია მისგან სუმბულს: „მადლობელი ვარ! ჩემო სუმბულო, რომ ჩემს ახლოს გაქვს ბინა. როცა შენ გიმზერ— ბედნიერებით ზეცას ეწვევდები“.— „ნეტა რა მოსწონს ჩემი“ ჰკითხავდა ხოლმე თავის თავს სუმბულში, მაგრამ პასუხს რომ ვერ მიიღებდა, გაიღიმებოდა და ისევ დაიწყებდა ცეკვობას. ნამი რომ პირს დაბანდა და მის ტანზე ნამის წვეთები მძივებდად აესხმოდენ, სუმბული მაშინ თავის თავს უჭკრეტდა და თუმცა ამაყი არ იყო, მაგრამ არ შეეძლო მის შვენების მნახველს არ გაღიმებოდა. რამდენი ხანია სატრფოს ელოდა, საღაღაც წასულიყო უცხო ქვეყნისკენ და იფიანებდა, ლოდინში გული ელოდა... მაგრამ მოვიდა, აი მოესმა მისი ხმა კიდევ, თრთის და ცახცახებს; ბედნიერია სუმბული, ნამი პირს ბანს, ნიავე დაჰკონის, გულში იხუტებს, იაღინი ზედ დაჰკითხინებს და სული რომ მის წიაღში დალიოს— არ ენადღვლება... მკრთალი მთვარე-კი მათ სდარაჯობს და მგონი ისე ეცვლება ფერი, რომ მათი ბედნიერება ეხარბება კიდევ...

## II

მაგრამ ყამი მიჰქროდა.

როგორც სიზმარი, დიახ წარბეცა და მშვენიერი, ვაჰქრა ზაფხული. შემოდგომაა. ხენი საშინლად სტირიან... ძრწიან და შფოთვენ. „იმათ თუ ასე დაემართათ, რა კარგი დამეყრებო, — ფიქრობს სუმბული. და, აი, რომ მართლაც უღალატა, სატრფომ სუმბული სიცივეს მიუვლო და თითონ თბილი ქვეყნისკენ გაუღდა გზას; ის მშვენიერი ტანისამოსი, რომელსაც თვით სოლომონისაც ვერ შეედრებოდა, გაიცრია. საღაღაც ნიავე, ნაზი ზეფირი გულში რომ ნანას უმღერდა? ახლა ქარიშხალი, მუნქვით მტირალი, თავს დაჰლრიალებს, დასარებას თითქო უქადებს, მგზნებარე გული მარებს თითქო უქადებს... „ჩამოვიღისო მალე სიკვდი-

ლი“, — უჭრჩულებს ხმა იღუმალი. არ იცის სუმბულმა, რაა სიკვდილი, მაგრამ წინად ჰგრძნობს, რომ კარგი არ იქნება. ცახცახით დმერთს ვედრებს, გულწაბრბობილი ლოცულობს და ის ლოცვა მყის ოცნების ფრთებით ცისკენ მიიღტვის. „ნუ გეშინია, ნუ, ჩემო სიცივეს! უჭრჩულებს ანკარა წყარო. დმერთი მოწყალეა, მალე ისევ გამობრუნდები, მალე მოგვია დრო და ყამი შვენებისო, ერთ ზაფხულში კინაღამ დაგური და სასოწარკვეთილი დაესტიროდი ჩემს უბედურებას, მაგრამ შეევებრაღე შემოქმედს. წვიმა ჰვიდა და მეც გადავარჩი“.

— რა! რა კარგი ხარ წყაროვ ანკარავ, რომ უბედურიც ასე გიყვარვარ.

— მაშ კიდევ გაზაფხულდება?

— ჰაი, ჰაი რომ...

— მაშ როდემდი უნდა ველოდებოდე?..

— იყუჩე, ჩემო პატარავ, იძინე და ისე გაივლის დრო, რომ ვერ გაიგვს...

უჯერებს სუმბული და სძინავს... სძინავს გრძნული ძილით, ტკბილსა და მომხიბლოვ სიზმრებსა ჰხედავს, ხან-კი მწარედ ქვითინებს, ალბად ცული რამ თუ ეზმანება. უკვ ორჯერ გაზაფხულდა, მაგრამ მას კიდევ სძინავს: განთიადისსა და მწუხრისსა მგოსანი თავს დაჰკითხინებს და ცას შეჰკვენის „ნეტავი, როდის გაიღვიძებო?!“

## ტ. ტაბიძე

## მწარედ ვიყინი

ტყეში გავიქერ, ველს დავემოყვრე, ფოთოლთ შრიალსა შევუწყე სმენა: გული გავუწყე მდელოს ბობინსა, ნაკადულისა ვისწავლე ენა.

\* \*

მთვარეს ვემონე... ვარსკვლავებს ვემძე, მთამ მცნებად მომათა სიკულუზივად, იამ სინაზე შემომთავაზა, ცის თალმა მომცა თვის სიღიადე.

\* \*

ვარდმა სიტურფის ტრფობა მასწავლა, ბულბულმა კენესა გულს შთამისხავა; კაცთ შემეცნების კიდებე მდგომი ეციანი მწარედ: ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

კიკნა-ფშაველა

# რეაქცია

ოთხ მოქმედებიანი

სტენება აკაკისა

(დასასრული, იხილეთ „თ. და ცხ“ № 22, 23 და 24.)

## მოქმედება მეროთხე

I

**ნინო** სარკის წინ ირთვება, **ელენე** მაგიდას უხსნის და წაიგნის ვითხულობს.

**ნინო** პრიროსკა მიხდება?

**ელენე** (თავსაღუეს) კი არ გიხდება, გშეგნის!

**ნინო** ნუ! გშეგნის! (დადანეს) შაპოჩკა?

**ელ.** საუცხოვოა!...

**ნინო** (კაღვე დადანეს) ეს? ხარაშო სიდიტ პლატიე?

**ელ.** (უგმყოფივით) კარგათ, კარგათ!

**ნინო** (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბაშმაკები როგორ მოგწონს? (გამაჰყურს ფეხს)

**ელ.** უპ! შენ და შენი კოპწოობას!.. ჩიხედე სარკეში და მორჩი! ნუ მიშლი.

**ნინო** სკაჟიტე პოკოლუსტა! გიშლი!.. დიდ რამეს ჰკითხულობ!

**ელ.** (დაცხვით) სანისს!... ლეონიდ ანდრეევს.

**ნინო** პოკოლუსტა, პოკოლუსტა! ჩუჟოი აგაროდ ნებროსაი კანია. რაღაც ქართულ სისულელესს ჰკითხულობ! კაც ტებე ნე ნადელო!.. ვეფ. კის...ტკაოსანი.

**ელ.** შენ რას დაქებ, მერასა ვკითხულობ? მე ხომ შენ არას გიშლი? რაც გინდა ის იკითხე!..

**ნინო** ვა ვსიაკომ სლოზჩაე სისულელესს არ ვკითხულობ.

**ელ.** რატომ შენ საქმროს არ ეტყვი მაგას?

**ნინო** ეჩნის? (იგნის) ისიც შენსავით გატაცებულა!

**ელ.** მაშ რათ ეუბნები, რომ სასწაულებელში გიშლიდენ ქართულს და ახლა შენ მასწაულეო?

**ნინო** ჩტომ უვადით ეჩნისუ!.. დედამ მირჩია, ჯერ სანამდე ნევესტა ხარ, ყოლიფერში დაეთანხმე შენ ეჩნისო და მერე ჯვარს რომ დიწყერ, რაც გინდა ქენო!.. გუშინ ეჩნისმა ერთი პატარა ლექსი ვაღმომცა და მე კიდევ დავისწაულდე „სიქვარულო ნინო სრულო“...

**ელ.** სიყვარულო და არა „სიქვარულო.“

**ნინო** სიყვარულო, ნიჭო სრულო წამტკბილო და ხანგრძლივ მცარე ჯერ ავეანო სიხარულის მერე კუბო და სამარე!

**ელ.** გესმის რასაც კითხულობ?

**ნინო** ამიხსნა გიგუშამ, მარამ ადნაეო ესო-ოტაკი ნე პონიმიუ: სამარეს რა უნდა აქ? ვედ ეტო გუბერნია ვროსიო?

**ელ.** (იგნის) სამარე ქართულით საფლავია.

**ნინო** (გაბეკვით) სიქვარული და საფლავი ტოლი დელო? (აზრანსებას სარკის წინ და მღერის)

„პატილი! ნე გლიადი! სკროისა სგლაზ ტი მიხ!

ვოტ ეტო პონიმიუ!..

**ელ.** კარგი, კარგი!.. მაგრამ ცოტა ხანს თავი დამანებე, გენაცვა, ნინო!

**ნინო** რა? ნინო? ეტალო ტოლოკო ნე დასტავლო!.. ნინო? მე ნინა მქვია და ნინა დამიხებ? ნინო? თითქო „მიჩო“, კაც ბუღტო ია სრედნალო როდა! რას იტყვიან სხვები რომ გაიგონებენ?!

**ელ.** ვინ სხვები?

**ნინო** ვისში კრუეში, სსსაცილოდ ამიგდებენ.

**ელ.** უკარავად! ნინა! ნინა! ნინა!..

**ნინო** (სიღვლით მიყარაფას და კოგნის) ნე პრავდალი ბლაღოზვუნენე? დედამ თუ მიკითხოს წაივინდაქო! პრაშჩაი (მადის)

**ელ.** რა ყოლიფრათ კარგია, რომ გიდაგვარებული არ იყოს! (სიჩუმე) ვილაც უცხოს შესჩივლა თურმე: „ვეწუხვარ, რომ ქართველათა ვარ დაბადებულიო“. და იმანაც, რომ მოშორდა, დასკინს! (აფოქრდება) მაგრამ ვანა მართო ნინოა მაგისთანა, რომ რცხვენოდეთ ქართველობის? სულ ასე არ არიან სხვებიც? დღეს ქართველობა მათი აზრით მეტი ბარგია! ამის მაგალითს კაცები ვეაძლევენ!.. მაგრამ ჩემი ალექსანდრე კი სულ სხვაა!.. „ის ქართველი, რომელიც პირველ ყოვლისა ქართველი არ არის, აღამიანად არა მწამს, რაც უნდა იყოსო!..“ დღეს უნდა ჩამოვიდეს. (აფოქრდება) რასაკვირველია პირდაპირ აქ მოვა!

## II

ისინავე და ნატო

**ნატო** (გარუბიანსვე იწყებს) -რა ამბავია შეი-

ლო? ხმა მაღალი ლაპარაკი მესმოდა! კიდევ წაიკიდეთ შენ და ნინო? ნუ აჯაერებ დედა-შვილობას!

**ელ.** არა დედა! ჩვენ ისე ვლაპარაკობდით.

**ნატო** ოპ, შვილო, გენაცვალოს დედა! მაგის მეტი ვინღა გვეყავს? დღეს თუ არა ხვალ საქმრო წაიყვანს და მოგვეშორდება.

**ელ.** მე რას ვუშლი მერე?

**ნატო** ჯერ იყო და მის ტოლებს ყველას ეჯაერებოდა ჩვენზე ლამაზი რად არისო? და ახლა ხომ სუყველა გაჯაერებულია, ხომ ამისთანა საქმრო გამოაცალა ყველას ბელიდან, იმას კი ენაცვალოს დედა! სად არის?

**ელ.** წავიდა ლუტენისას სათამაშოდ.

**ნატო** მისი ქენიხი იქ იქნება უთუოდ!.. შენ რაღას უტყვი შვილო? სადაც არის ხომ შენი ქენიხი უნდა ჩამოვიდეს! ენაზე ბეჟანი დღესთვის მოვლის წადი, შვილო, მოირთე და მოიკაშმე.

**ელ.** ესეც არა მიჭირს რა!.. იცი დედა ის რა აზრისა? აღამაინი მეგობართან ისე უნდა იყოს, როგორც თავის თავთანაო.

**ნატო** უი, რას ამბობ შვილო? კაცი როცა მარტოა თავის-თავთან, ხშირად ტიტეელიც რჩება!..

**ელ.** ჰო და როცა მეგობართან ხარ, განა მარტო არ ხარ?

**ნატო** უი! რას ამბობ შვილო? იმას ხომ მამაც თან მოყვება და თუ არ მისთვის, მამამისის გულისთვის მაინც გამოიკვლია კაბა. მოირთე! წადი შვილო! წადი შვილო, ნულარ აგვიანებ.

**ელ.** თქვენი ნება! (შეიძახა)

**ნატო** მადლობა შენთვის ღმერთო, ქვრივობლობის მფარველი ხარ! ორი ქალის მეტი არა გამაჩნია რა და ორივენი ასე კეთილათ დავახინავე. ყველას თვალი რჩება გიგოზე და ხელში კი ნინოს მეტმა ვერაფერ ჩაიგდო. არც გასაკვირველია! ნინო მისის მშვენიერებით ვის არ მოაწონებს თავს? მე უფრო, ულენეს საქმე მაკვირვებს; არც ისე ლამაზია, ელწველელიც დამირჩა და მაინც კიდევ რა საქმრო შეხვდა კულრაქსა... ბეღია, ბეღი! ვინ იფიქრებდა...

### III

ისინავე და ბეჟან (შემოვა, უფრო უგადებს)

**ბეჟან** მე! და მოფიქრებით კი შენ მომაფიქრებები, ტყეილი კი არ არის ნათქვამი: „ნუ

დააგდებ ძველსა გზასა ნურცა ძველსა მეგობარსაო“. შენი დიობა მე ჩაუდევ გულში. იმდენი ვეჩიხინე, რომ გაეაბებინე ცოლის შერთვა! თვარა ძალიან შორს ეჭირა.

**ნატო** ისე შენ იხარე, როგორც ჩემი ქვრივობა შენ დატყბე!

**ბეჟ.** მე სულ სხვა მქონდა გუნებაში: მე ნინოზე ვფიქრობდი და ის კი მეორემ გაიტაცა.

**ნატო** ჰმ, მეც ძალიან გამოვიკირდა!.. მაგრამ მადლობა დმერთს! ნინომაც საუცხოვო ვინმე ჩაიგდო ხელში, გიგო ბეგლარძემ! პირველ საყენიხთ ითვლება ჩვენში.

**ბეჟ.** იცი ეგ ენინობა ვინ გააბედვინა გიგოს? ალექსანდრე და ის თურმე ერთად ყოფილან სსსწავლებელში და დიდი მეგობრები არიან ერთმანეთის!.. გამოვლის, რომ ესეც ჩემი ბრალია. პირველი გზა მე გავკვლი!.. აბა ნუ იტყვი რომ „ნუ დააგდებ ძველსა გზასა ნურცა ძველსა მეგობარსაო...“ (მოაჩიხებს სკამს)

**ნატო.** (კაფების გრუხით) შენ კი იხარე, რომ ხუმრობას არ იშლი!

**ბეჟ.** რაიო? ხუმრობას? ჰაი ქალბატონო! რატომ მაშინ არ მეუბნებოდო მამას, მხრებზე ეპოლტებო, გვერდზე ხმალი რომ მქვიდა და ულვაშებს ვიგრებდი? პოლკის კამანდირი შენი გულისთვის არ გადამეკიდა? პენცია შენ დამაკრავიე!..

**ნატო.** (მანჭვით) ოცდაათი წლის ზღაპარს იგონებ...

**ბეჟ.** ზღაპარსო? ჰმ, თქვენა ხართ ქალები მანგრე: ქალარა რომ გამოერევა კაცსა, ვინდ ტარიელიც იყოს, გულიდან ამოირეცხავთ, თვარა ჩვენ კაცები არა!.. სიბერემ აღზათ შენც დაგანია კვალი, მაგრამ ჩემ თვალში რაც მაშინ იყავი, ისევ ისა ხარ ახლაც.

**ნატო** (მოაჩიხებს) ვითომ?!..

**ბეჟ.** ცალი აღარ ვეძიე და შვილი! და მოყვრობაც მიტომ მოვიწოდებო გულით, რომ ახლოს ვყოფილიყავ. (ხატო ხელს აძლევს და აიგებს) ჩემი შეძლება ხომ ჩემს ძმის წულზე უნდა გადასულიყო? ამ თავითვე მაგათ დავეტოვებ და შვილები იქნებიან ჩემი!.. ჩემი ძმაც ძალიან გახარებულა... აღარ ეგონა, თუ მოესწროდა შვილის ქორწილს.

**ნატო** შენ გაიხარე მე ელოს ბედნიერება მიხაროდეს!..

**ბეთ.** ძალიან ჩავარდნა გულში. ასე ამბობს მე იმისთანა ქალების არა მწამს რა, ყოლიფერი რომ იციან, მაგრამ თავისი ქვეყნის კი არა გაეცილებთ რაა!.. ელენე კარგათ არის გამოზრდილი და ძველ დღეებს მოგვაგონებს! ოჯახში სწორედ მაგისთანა ქალი უნდაა!..

**ნატო** საცოდავი ჩემი ქმარი რომ გადაიკვალა, ეგ უპატრონო დამირჩა, მეოთხე კლასიდან გამოვიყვანე და რაც კი შემეძლო შინაურულად ვწრთენდი!.. რა გაეწყობა!.. დღევანდელ დროს ვეგბ არ ეკადრებოდეს... მისთანა ვერ იყოს, მაგრამ შინაურობაში... ქართველ ქალად არა უჭირს რა.

**ბეთ.** ჰო და მერე ეგ ხუმრობაა?! შენი გაზდილი ცული რად იქნებოდა? არ ვამტყნებ ალექსანდრეს, რომ მაგისთანა ქალი შეიყვარა. (სეფზე კოცნის)

**ნატო** (იციანის) რაღა დროს კომპლიმენტი ბებრის!..

**ბეთ.** ვინ არის ბებერი? მე თუ შენ? (აღტაცებით) „ბებერი ხარის რქაც კი ჰხნავსო.“ ეგ სხვებს უთხარით და ჩემს თვაღში ისევ ყმაწვილი ხარ! (კოცნის სეფზე). ახალგაზდა ხარ! (კოცნის მუთრე სეფზე. ნინო შემოიდას და უუურებს)

**ნინო** ტრულია-ლია... (სეფლებს)

**ნატო** მოხველი შვილო?!..

**ბეთ.** ენიაყნას ვახლავართ..

**ნატო** მაგრე რად მოწყენილხარ შვილო?

**ნინო** მოწყენილი კი არა ვაჯავრებული ვარ: ჩემი ყენიხი დღეს იქ არ ყოფილა და არც აქ მოღის!..

**ნატო** ჯერ ადრეა შვილო! როგორ არ მოვა!..

**ბეთ.** (მოუბრუნდება) მამ აგრე იყოს!.. დღეიდან ღმერთმა ნუ მოშალოს ჩენნი მოყვრობა!

**ნატო** (სეფს გაუშუერს ჩუმათ) ხელზე მაკოცე! (ბეფხი კოცნის სეფზე და ნატო შუებზე)

**ბეთ.** მეც ხომ მამა ვართ ჩემი მძისწულის? ახლა მახლობლები ვართ ერთმანეთის... ახლო ნათესავები!.. ხომ ენიაყნა?

**ნინო** ეტო ვაშე დელო! ვი ლოჩმე ზნაიტე!..

**ნატო** წადი შვილო! ჩვენთან... ბებრებთან მოგეწყნება... აბა ერთი შენებურათ ფორტოფიანზე დაუკარი!.. ჩვენც გავგართე და შენც თავი შეიქციე.. მანამდე ყენიხიც მოვა! (ნინო

გადის). ცოტა ხნის შემდეგ ფორტოფიანის ხმა მოისმის)

**ბეთ.** მგონია თვალი მოგვკრა?!..

**ნატო** არა უშავს რა!.. ცუდს ვერას იფიქრებდა! (იღამება) ჩუ, ყური დაუგდე ფორტოფიანოს!..

**ბეთ.** ისეც ცეცხლი მეცილება და რაღა ეგ მექვიერება?

**ნატო.** ნეტავი შენ, რომ არ იშლი ხუმრობას!

**ბეთ.** ჩვენ დროში სულ სხვა ხმები იყო ფორტოფიანოს! რაღაც კარგი კია, მაგრამ რომ არ ვიცი რას უკრავს?

**ნატო** სასიძღვრო ხმაა!.. მავს ელენე მღერის ხოლომე, როცა გუნებაზეა! მის საქმროსაც ძალიან მოსწონს. (ხმა ოახიდან) „ნეტავ მას, ვინც შენს ტკბლ ხმას“ და სხვანი

**ბეთ.** ვუ, ვუ! ქართული სიმღერები პირველად მესმის ფორტოფიანზე!.. ეს ელენეა რომ იმღერის?

**ნატო.** დიახ ელენე!

**ბეთ.** ყოჩაღ ქალო! ნეტავი მას მართლაც ვისაც მაგისთანა ხმა ესმის!.. ჭეშმარიტად ბედნიერია ჩემი მძისწული! ბრავო! ქალბატონო ბრავო!..

**ნატო.** იპ, რად გააწყვეტინე? (სეფზე დაგაგს სეფს)

**ბეთ.** არა, არა რას ქვიან ვაწყვეტინე? შეეცხვეწები რომ კიდევ იმღეროს!..

(გიგო შემოიდას შეწუხებული)

IV

ისინივე და გიგო

